93
ეროვნული ბიბლიოთეკა

პარასკევი 1918 წ. აპრილის, 13—(26) № 73
წლიწადი მეორე

პარასკევი 1918 წ. აპრილის, 13—(26) № 73

ფასი 20 კაპ.

# ჩვენი ქვეყანა

**რედაქცია.**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

**რედაქცია ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

**კანტორა.**

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებისა 1 საათამდე 8 მ., 1 საათს შემდეგ 10 მან.

**კანტორა ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. **ფოსტის ადრესი:** Кутаисъ, поч, ящикъ № 39. **ტელეფონი** № 76.

10 აპრილს მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

## სევასტი ნიკოლოზის ძე ერისთავი

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ცოლი და შვილები გარდაცვალებულისა. პანაშვიდები ყოველ დღე 6 ნახევარ საათზე საღამოობით. გამოსვენება დასაკრძალავათ მოხდება შაბათს 14 აპრილს დილის 9 საათზე, ოლდენბურგის ქუჩიდან საფიჩხიის ეკლესიაში.
2—1

ღრმად მწუხარებაში მყოფი ტელემაკ გურული ოჯახითურთ აუწყებს ნათესავთ და ნაცნობ მეგობართ ტრაღიკულად გარდაცვალებას ძვირფასი და დაუვიწყარ

## ვაჟუდი |აკაკი| ნიჟარაძისას,

რომლის გასვენება ქუთაისიდან სოფ. მაღლაკში მოხდება კვირას აპრილის 15 დილის 9 საათზე. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე ძველი თბილისის ქუჩა.
3—1

ღრმად დამწუხრებულნი ძმა გიორგი ნიჟარაძე, მეუღლე მისი თამარ დეიდა მართა ლორთქიფანიძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, ტრაღიკულად გარდაცვალებას საყვარელ და დაუვიწყარ

## ვაჟუდი |აკაკი| ნიჟარაძისას.

გარდაცვალებულის გამოსვენება ქ. ქუთაისიდან სოფ. მაღლაკში მოხდება კვირას აპრილის 15 დილის 9 საათზე. პანაშვიდები ყოველ დღეს საღ. 6 საათზე. ძველი თბილისის ქ. საკ. სახლში.
3—1

ივანე ბესარიონის ძე ნიჟარაძე ამით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მისი შვილის

## ვალოდია ნიჟარაძის

ცხედრის გასვენება ქ. ქუთაისიდან სოფ. მაღლაკს მოხდება კვირას, 15 ამა აპრილს, დილის 9 საათზე. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, ძველი თბილისის ქუჩა, საკუთარი სახლი.

**ქალაქ ქუთაისის სასურსათო კომიტეტის გამგეობა ამით აცხადებს, რომ**

## ფართლეულობის დანიშვრა და აღნუსხვა მოიხსნა

## ყველა ვაჭარს ნება ეძლევა თავისუფალი ვაჭრობისა:

შემოზიდვა შეუძლიათ ყოველი მხრიდან, მხოლოდ გუბერნიიდან გაზიდვის უფლება ეძლევა გუბერნიის სასურსათო კომიტეტის მიერ.

## ამიერ-კავკასიის კონსტიტუცია.

ამიერ-კავკასიის კონსტიტუციას ამიერ-კავკასიის სეიმი ვერ შეადგენს, ვინაიდან, ჯერ ერთი, სეიმი—დროებითი მთავრობაა და არა დამფუძნებელი კრება და, მეორე, ამიერ-კავკასიის ერების წარმომადგენლობის ანუ კონგრესის მიერ შემუშავებული კანონპროექტი კონსტიტუციისა—თვითეულის ეროვნული ერთეულის დამფუძნებელი კრების მიერ დადასტურებული უნდა იქნეს.

ამიერ-კავკასიის სეიმი—რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრებისაგან შესდგება—და ჩვენს პოლიტიკურ მიმდინარეობათ სრულიად ვერ გამოხატავს უპირველესად მიტომ, რომ სეიმის წევრები შეუსაბამო წესით არჩეული არიან: ჯერ ერთი, არჩევნებში რუსის ჯარმაც მიიღო მონაწილეობა და, მეორე, ეგრეთწოდებული პროპორციული წესი გადაუკუღმართებული იყო. მთელი ამიერ-კავკასია ერთ საარჩევნო ოლქად გადააქციეს და საქართველო, აზერბეიჯანი, სომხეთი და სხ. განცალკევებულ საარჩევნო ერთეულებად დაყოფილი არ იყვნენ, ერთი სიტყვით, რუსეთის მთავრობის მიერ შერჩეულის უსამართლო საარჩევნო წესით არჩეული წარმომადგენლობა—დამფუძნებელი კრების დანიშნულებას ვერ აასრულებს.

ამას გარდა რა საფიქრებელია, რომ ლეკეთი, აზერბეიჯანი, სომხეთი და საქართველო გაერთიანებულს, ცენტრალისტურ სახელმწიფოს შეადგენსენ?! ცენტრალიზმის სიგიჟით შეპყრობილი უნდა იყოს, ვინც ასე ფიქრობს!

მაშასადამე თვითეული შემადგენელი ნაწილი სუვერენული ანუ დამოუკიდებელი უნდა იყოს და მათ შორის მხოლოდ საბაჟო და სამხედრო კავშირი უნდა სუფევდეს. ერთი სიტყვით ამიერ-კავკასია ფედერატიულ რესპუბლიკად კი არა, კონფედერაციად უნდა გადაიქცეს.

დიდ! თვითეული ერი თავისუფლად განვითარდეს და ერთი მეორეს ხელს ნუ შეუშლის! რა საჭიროა, კულტურით, ზნეჩვეულებით, ისტორიით და ჩამომავლობით ერთმანეთისაგან დიდად განსხვავებული ერები ერთმანეთს აეკიდონ და ერთმანეთის საქმეებში ჩაერიონ!

მაშ როგორ უნდა შესდგეს კონსტიტუცია? აი როგორ. ამ ჟამად სეიმმა მხოლოდ ზავის საქმე უნდა აწარმოოს, ამის უფლება სეიმს აქვს სხვათა შორის მიტომაც, რომ ეს საქმე მას ეროვნულმა საბჭოებმა მიანდვეს. იმავე დროს სეიმისავე კომპეტენციაში უნდა დარჩეს საერთო საბაჟო საქმეები.

მაგრამ სეიმი ვერცერთს დანარჩენ საქმეს—სამხედროსი, საფინანსოსი და სხ. საქმეების მოწესრიგებას—ვერ გაუძღვება. ამისთვის საჭიროა, თვითეული ერის ეროვნული საბჭო მთავრობად გადაიქცეს და თავისი საქმეები საკუთარი ძალით მოაწყოს და მოაწესრიგოს.

მაშასადამე, სხვათა შორის საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დღესვე უნდა გამოაცხადოს თავი ეროვნულ მთავრობად. ჩვენი სისუსტე სწორეთ იქიდან გამომდინარეობს, საკუთარი მთავრობა რომ არა გვყავს.

და, ჩვენ რომ საკუთარი სამხედრო, საფინანსო, სავაჭრო-სამრეწველო, სასურსათო, გზათა, შინაგან საქმეთა და სხ. სამინისტროები გვქონოდა, ბათუმი არ დაგვეკარგებოდა.

მაგრამ ეროვნული საბჭოები დროებით მთავრობათ უნდა წარმოადგენდენ. იმავე დროს საჭირო იქნება სეიმის განახლებაც, ე. ი. სეიმი ეროვნულ საბჭოთა დელეგატებისაგან უნდა შესდგეს.

მაშ საჭიროა ამ ჟამად მართვა-გამგეობის დროებითი წესები შემუშავდეს. შემდეგი ნაბიჯი კი—ეროვნულ დამფუძნებელ კრებათა მოწვევა იქნება.

თვითეული ერის კონსტიტუცია—დამფუძნებელმა ეროვნულმა კრებამ უნდა შეადგინოს და დააკანონოს. კონფედერაციის კონსტიტუციის კანონპროექტი კი უნდა შეიმუშაოს საკავშირო საბჭომ და დააკანონოს თვითეულმა ეროვნულმა დამფუძნებელმა კრებამ. მაშასადამე, კონფედერაციის კონსტიტუციას—საკავშირო საბჭო კი არ აკანონებს, არამედ ეროვნული დამფუძნებელი კრებები. და ამ დაკანონებისათვის თვითეულის მათგანის თანხმობაა საჭირო. ასე ყოფილა ყოველთვის და მაშასადამე ასე უნდა მოხდეს ახლაც.

მაგრამ როგორ უნდა შესდგეს ამიერ-კავკასიის საკავშირო საბჭო ანუ სეიმი? ორგვარი შესაძლებლობაა: 1) შეიძლება, მისი წევრები თვით ხალხმა აირჩიოს პირდაპირი ხმის მიცემით და 2) შესაძლებელია აგრეთვე, რომ ისინი—ეროვნულ დამფუძნებელ ანუ კანონმდებელ კრებათა მიერ იქნენ არჩეული.

მაშ პირველი ნაბიჯი—დროებით ეროვნულ მთავრობათა შედგენაა. დროებითი საკავშირო საბჭოც უნდა განახლდეს ზევით აღნიშნული წესით. სეიმს უნდა დარჩეს მხოლოდ საბაჟო საქმეებისა და საგარეო პოლიტიკის წარმოება. ყველაფერი დანარჩენი უნდა გადავიდეს ეროვნულ მთავრობათა ხელში—სამხედრო საქმეებიც კი. ბრძოლა საერთო მტერთან უნდა აწარმოოს თვითეულმა ეროვნულმა მთავრობამ საკუთარი ძალით, მაგრამ მეზობელი ერების მთავრობებთან შეთანხმებით—იმგვარად, როგორც, მაგალითად, გერმანია, ავსტრია, ბულგარეთი და ოსმალეთი მოქმედობენ.

მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი თვითეული ერის ძალთა მობილიზაცია და შეკრება.

მაშ რას-ღა ვუცდით?! დავაჩქაროთ ეს ბუნებრივი ქმნადობა, ვუჩვენოთ მაგალითი მეზობლებს, გამოვაცხადოთ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და იმავე დროს ამიერ-კავკასიის კონფედერაციის წევრად და გარდავქმნათ საქართველოს ეროვნული საბჭო საქართველოს მთავრობად.

ვასილ **წერეთელი.**

## ჩვენი გზა.

ა.

კარგა ხანია შევჩერდით, იმ წერტილზე ენა აგვებნა-სადაც უნდა თქმულიყო უკანასკნელი სიტყვა—**საქართველოს დამოუკიდებლობა.**

რევოლუციის სიდიადე და **მადლი** ქართველი ერისთვის ეროვნულ თვალთახედვით უნდა გაიზომოს. პოლიტიკურ უფლებებს წართმეულ ეროვნულ ბორკილებს დადებულ საქართველოს სწყურდა **ეროვნულ პოლიტიკური თავისუფლება...**

რვა საათის სამუშაო დღე, მიწის კითხვის ხელოვნურად გამწვავება და სოციალ ცხოვრების ტკბილ გარდაქმნით უხვი დაპირებანი არ შეადგენდენ ქართ-

ველ ხალხის ეროვნულ იდეალს... **ჯერ ერის თავისუფლება** მისი ფიქტიურად და იურიდიულად განმტკიცება და მერე შინაური გარდაქმნა, ვინაიდან პირველად სახლის კედლებს ააგებენ სახურავს გაუკეთებენ და შემდგომ დაიწყებენ ზრუნვას იმაზე შიგნით ავეჯი როგორ დააწყონ.

შესაძლებელია საქართველოს სეპარაციის იდეა არც ერთ პოლიტიკურ პარტიებს პროგრამაში გარკვეულად არ ჰქონდათ შეტანილი, მაგრამ ეს იმას არა ნიშნავს, თითქოს სეპარაციის იდეა არ სცოცხლობდა საქართველოში. პროგრამა იწერება ყველასთვის დროსა და გარემოებას მიხედვით **ერის დამოუკიდებლობა პოლიტიკური აქტია**, რომელიც ემყარება სავსებით ერის ცხოვრების რადიკალურად შეცვლას, სეპარაცია დამოკიდებულია შინ და გარე შექმნილ ობიექტიურ პირობებზე ყოველი ერი სეპარატისტია. მაგრამ სეპარაციის ხორც შესხმა განსაკუთრებულ პირობებზეა დამოკიდებული.

ესეც, რომ არ იყოს ძვირად, მაგრამ მაინც სდგება ისეთი მომენტი, როდესაც ისტორიული ტრიალი ამა თუ იმ ერს პირდაპირ უბრძანებს თავის ბედის საჭის საკუთარ ხელში აღებას და დამოუკიდებლობას... ამიერ-კავკასიის ერების შექმნილმა მდგომარეობამ უბრძანა ამიერ-კავკასიას დამოუკიდებლობის გამოცხადება. ვიცით, ბევრს არ უნდოდა ეს დამოუკიდებლობა, მაგრამ სურვილი ერთია ისტორიული აუცილებლობა მეორეა. ახლა პირდაპირ უნდა დაისვას კითხვა საქართველოს დამოუკიდებლობისა და იგი დადებითად გადაიჭრას. გამოჩნდებიან ისეთები, რომლებიც გვეტყვიან, „საქართველო უნდა დაკმაყოფილდეს ამიერ-კავკასიის ფედერატიულ კავშირში შესვლითო, საქართველოს დამოუკიდებლობა მიზან შეწონილი არ არისო“.

ამიერ-კავკასიის ფედერატიული კავშირი ისეთი სახიფათო და საბედისწერო გზაა, როგორიც იყო ამიერ-კავკასიის მთლიანობისთვის ბრძოლა...

ფედერაციის წინააღმდეგნი ვართ არა პარტიული მოსაზრებით, არამედ იმიტომ, რომ იგი ამიერ-კავკასიაში ყოვლად შეუძლებელ—განუხორციელებელია. ეჭვი არ შეგვაქვს იმაში, რომ ფედერატიულ კავშირს შექმნიან, მაგრამ ნუ დაავიწყდებათ, რომ ეს კავშირი ქვიშაზე იქნება აგებული და პირველ წამოქროლვაზევე უფსკრულისკენ გადაეშვება ლეკს, სომეხს, თათარს და ქართველს ერთად ვერ მოათავსებთ, ამიერ-კავკასიის სეიმის ისტორიული სხდომები, როდესაც სომხები და თათრები ერთმანეთს ეკვეთენ ამტკიცებენ, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაცია ყოვლად უსაფუძლოა და მეტად სახიფათო კომბინაცია.

მაგვარ კომბინაციების სიმწარე უკვე საკმაოდ იგემა ამიერ-კავკასიის ხალხმა და რა საჭიროა კიდევ გზა აბნევით სიარული აუცემლებლად გადასადგმელ ნაბიჯის გადადება... სწორი გზა ერთად ერთია. დაუყონებლივ ეროვნულ ტერიტორიულ გადამიჯვნის მოხდენა. ეროვნულ სახელმწიფოების შემოფარგლა და შემდგომ ამისა ამიერ კავკასიის კონფედერაციის შექმნა.

ი. იმერელი.

## ბათომის ამბები.

ბათომიდან მოვიდა ექიმი გრ. ლ. ელიავა, რომელმაც გადმოგვცა იქაური მდგომარეობა. ჯერ იმისი აქ მოსვლის მიზანიც საინტერესოა. როდესაც ქალაქი ოსმალებმა დაიკავეს, იქ დარჩენილებმა ქართველებმა იგრძნეს, რომ იგინი საქართველოს ჩამოშორდნენ, არ იცოდენ, რას ფიქრობდა საქართველო, რა გზას დაადგებოდა. ამ პირობებში ბათომის ქართველებმა თათბირი გამართეს და გადასწყვიტეს, რათა თბილისს დელეგაცია გაეგზავნათ მდგომარეობის გამოსარკვევათ და რაიმე დირექტივების მისაღებად. ადგილობრივი „ვალიც“ (გუბერნატორი) ამის წინააღმდეგი არ ყოფილა,—პირიქით დელეგატებს დახმარება გაუწია, რომ იგინი თბილისში წასულიყვენ. დელეგატებათ იყვნენ არჩეულნი გრ. ელიავა და კ. საბახთარიშვილი, ქალაქის თავი. ისინი ზღვით მოვიდენ ფოთში, სადაც გაიგეს, რომ ამიერ-კავკასიამ თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა და გადასწყვიტა ზავი ჩამოვარდეს. ამით დელეგატები ძლიერ კმაყოფილნი დარჩენ, რადგანაც ფიქრობენ, რომ ოსმალეთის მთავრობა დიდი სიამოვნებით შეხვდება ამიერ-კავკასიის გადაწყვეტილებას. „თქვენ ჩამოშორდით ჩვენს მტრებსოდა ჩვენ ერთმანეთშორის ადვილად გავრიგდებითო“,—თურმე სთქვა ბათომში **ენვერ-ფაშამ**.

— —

როდესაც გადაწყდა, რომ ბათომი ოსმალები ხელში უნდა გადასულიყო, მცხოვრებთა წარმომადგენელნი ოსმალთა ჯარს თეთრი დროშებით მიეგებენ. ჯარი მშვიდობიანათ შამოვიდა ქალაქში, არავითარი ექცესი არ მოუხდენია და წესიერად იქცეოდა. მაშინვე დარაჯები დააყენეს, რომ მცხოვრებთა პიროვნება და ქონება უზრუნველ ყოფილიყო. სხვათაშორის ამნაირი ბრძანებაც გამოსცა მთავრობამ: ბევრი სახლი ქალაქში უპატრონოთ დარჩა, რადგანაც მცხოვრებნი ქალაქიდან გავიდენო. არამც და არამც სახლში არავინ შევიდეს, ქონებას ხელი არ ახლონო. დამნაშავე სიკვდილით იქმნება დასჯილიო. და მართლაც მშვიდობიანობა და წესიერება სუფევს **ქალაქში**.

— —

ნაწილი ჩვენი ჯარისა, ბათომში დარჩენილი, ტყვეთ არის გამოცხადებული. მათი მდგომარეობა ადვილად ასატანია, ჯარისკაცები, რასაკვირველია, იარაღახდილნი, დიდ კაზარმაში არიან, მოთავსებულნი სადაც ისინი თავისუფლად სეირნობენ. რაც შეეხება ოფიც., ისინი სულ თავისუფალნი არიან, „ბულვარზე“ დასეირნობენ, მხოლოდ ყოველ მესამე დღეს მთავრობას **გამოეცხადებიან**.

— —

რადგანაც ბათომიდენ ბევრი გავიდა ოსმალთა შამოსვლის შიშის გამო, ქალაქის ხმოსანთა რიცხვი, რაღა თქმა უნდა, ერთობ შემცირდა. მთავრობამ ქალაქის საბჭოს განუცხადა, რომ საჭიროა მათი მუშაობა გაგრძელდეს და ამიტომ წინადადება მისცა ქალაქის თვითმართველობას, ყოველივე ერმა თავთავისი წარმომადგენელი ამირჩიოს საბჭოში. ქალაქიც ასე მოიქცა: ყველა ერებმა ხუთ-ხუთი კაცი აირჩიეს, გარდა სომხებისა, რადგანაც სომხების რიცხვიდან აქ მარტო ორი დარჩა. ამნაირად შემდგარი საბჭო არსებობს ახლა ბათომში.

— —

როდესაც ბათომი ოსმალთ ხელში გადავიდა, რამოდენიმე დღის შემდეგ იქ მოვიდა ენვერ-ფაშა. ის დიდი მორიდებით მოეპყრა მოქალაქეთ თავის „იახტეზე“ სადილი გამართა, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ ყველა ეროვნების წარმომადგენელნი. მისი ლაპარაკიდან გამოდიოდა, რომ საქართველოსა და ოსმალეთს შორის კარგი განწყობილება დამყარდება, თუ ქართველები რუსებს ჩამოშორდებიან „ნუ იქნებით მოყვრები ჩვენი მტრებისო“,— სთქვა მან. ენვერფაშამ სამი დღე დაჰყო ბათომში.

გ.

## შხამს ანთხევენ.

ურუსეთო რ. ს. [დ. მ. პ. ერთი წელია დიოგენის სანთელით დაეძებს კონტრევოლუციონერებს. გ აბატონებულ მენშევიკებს ყველა არასოციალდემოკრატი მოღალატეთ უცვნია, კონტრევოლუციონერათ ჩაუთვლია... ცხოვრების სადავის ხელთ მპყრობელ არტიას მრწამსად შექმნია ქართველ ერში მომწამლავ შხამის ნთხევა ერის შემადგენელ ნაწილების ერთმანეთზე მისევა „მით ერის დაქსაქსვა დაუძლურება და დასუსტება. ურუსეთო რუსეთის: „მუშათა პარტიის“ ქუთათური „სოციალ დემოკრატი“ საომარ გუნებაზე დამდგარი ცეცხლის ფრქვევით ეძახის ხალხს მოღალატეები დასაჯე, საფრანგეთის დემოკრატიის მსგავსათ. გაზეთი გესლიანათ გაჰკივის... გაზეთის ჩამოთვლილი ჰყავს გვარები რომლებიც სამშობლოს გასასყიდათ ოსმალეთის წინაშე წამოჩოქებულან... გაზეთი დემოკრატიას მოუხმობს მათ ასალაგმავად... რაშია საქმე? თუ მართლა ჩვენშორის არიან ისეთი მტარვალები, რომელნიც ერს ჰყიდიან და გაზ... „სოციალ დემოკრატი“ მათ იცნობს და, დაასახელოს და წარმოადგინოს ზრალდება უტყუარის საბუთებით ქვეყანა მათ სასტიკათ გაასამართლებს... თორემ მაგვარი პროპაგანდა არსებითად ბოლშევიკურია, იგი ხელს შეუწყობს პირად გრძნობების ამოქმედებას თვით გასამართლება მკვლელობებს, რაც გარეშე მტრისთვის დასაპირდაპირებელ ეროვნულ ძალას დათრგუნავს. თუ სოციალ დემოკრატია ბათომის დაკარგვაში ხედავს ვამცემლობას, თავადაზნაურობა, რომელიც როგორც წოდება დღეს არ არსებობს არაფერ შუაშია. ბათომის მარცხი ქართლის ისტორიას სულსხვანაირად გადაეცემა. ჭკვიანი, მოფიქრებული ერი ისეთ გზას არ დაადგება, რომელიც მას უფსკრულში გადაუძახებს. მთავრობამ უცებ დაიწყო ომი, მოუმზადებლათ ძალთა მოუკრიბავათ... წუთიერ ეფექტის გავლენით გადიცვა ყველამ მაზარა და დაიკავა თოფი, ქალაქის ქუჩებში ამაყათ დაიწყეს სიარული, მაგრამ ცუდი მსახიობები გამოდგენ.. სამშობლოს ინტერესმა მოითხოვა გაბრძოლება... ბათომში სისხლი დაიქცა და სოციალდემკრატია ვერ დამტკიცებს იმას, რომ იქ მისგან კონტრევოლუციონერათ მონათლული აფიცრობა არ იბრძოდა. ბათომიდან გამორბოდა უმეტეს ნაწილად ეგრეთ წოდებული „დემოკრატია“

პირუთვნელი ისტორია თავის დროზე ყველაფერს გამოაშკარავებს და ჯიტყვის თუ ვინ იყო და არის დამნაშავე არა პარტიულ წასიანებით, არა შინაურ ცეცხლის გაჩაღებით, არა შხამის ნთხევით მივაღწევთ ჩვენ ქართული ერის ბედნიერებას... ქუთათური გაზეთი თავს იკლავს გერმანულ ორიენტაციის გამზიარებელთა დანახვაზე, ნუ თუ არ იცის, რომ ეს ორიენტაცია გაზ. „ერთობამ“ მიიღო და აუცილებლად ჩასთვალა ერის მოწამვლის დრო არ არის. ყველა ერთ ფრონტზე, ერთ სამშობლოს დაცვისთვის ძლიერ ძალის ჩამოსაქნელად!.. თავი დაანებეთ ერის მოშხამვას!..

დუხუნია.

## დამოუკიდებელი ამიერ-კავკასია.

### დეპეში ყველა სახელმწიფოებს.

აკაკი ჩხენკელმა, ახალი მთავრობის თავმჯდომარემ მთელი ქვეყნის სახელმწიფოებს რადიო დეპეშით აცნობა, რომ 9 აპრილს ამიერ-კავკასია გამოცხადდა დამოვკიდებელ-ფედერატიულ სახელმწიფოდ.

### საზავო მოლაპარაკების შესახებ.

აკაკი ჩხენკელმა ოსმალეთის საზავო დელეგაცი თავმჯდომარეს აცნობა, რომ დამოუკიდებელ ამიერ-კავკასიის მთავრობას სურს ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკება განაახლოს.

### ომის შეჩერების შესახებ.

ამიერ-კავკასიის მთავრობამ ოსმალეთის ჯარების უფროსს აცნობა, რომ შეაჩეროს საომარი მოქმედება, სანამ საზავო მოლაპარაკება დასრულდებოდეს.

## ახალი კაბინეტი.

ა. ჩხენკელმა უკვე შეადგინა ახალი კაბინეტი. მინისტრ-თავმჯდომარედ და საგარეო საქმეთ მინისტრად ა. ი. ჩხენკელი, შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. ბ. რამიშვილი, იუსტიციის მინისტრი ხან-ხოისკი, მიწად მოქმედების ნ. ხომერიკი, სამხედრო გრ. გიორგაძე, ფინანსთა. ა. ი. ხატისიანცი, ვაჭრობა-მრეწველობის ჰაიდარ-განჯინსკი, სწავლა განათლების უსსუფბეგოვი, სახელმწიფო კონტროლიორი ჰაიდაროვი, გზათა მიმოსვლის—მელიქ ასლანიანცი, მზრუნველობის კაჩაზნუნი, სასურსათო—საკიანცი და შრომის, ერზიკიანცი,

## უკანასკნელი ცნობები.

გუშინ ჩვენი ფრონტიდან ქუთაისში ჩამოვიდა და ჩვენს რედაქციაში შემოვიდა ვტორიტეტული პირი, რომელმაც გადმოაგვცა სარწმუნო წყაროებზე აშენებული შემდეგი ცნობები:—

### ომის შეჩერება.

11 აპრილს დილის 10 საათზე, მთავარსარდალმა ლენერალ გაბაშვილმა თანახმად ა. ი. ჩხენკელის განკარგულებისა ოსმალეთის ჯარის სარდალს გაუგზავნა პარლამენტიორები ზავის ჩამოგდებამდის სამხედრო მოქმედებ. ს შეჩერების შესახებ. პარლამენტიორები ოსმალეთის ჯარმაც გამოგზავნეს. მოლაპარაკების შემდეგ ორივე მოპირდაპირის ჯარებს ებრძანათ შეეწყვიტათ სამხედრო მოქმედება.

### ჩვენი გამარჯვება.

8 აპრილს, ჩვენი ჯარის გამარჯვების დროს, ჩვენი ნაწილების მცირე ძალას დაუხოციათ 800 ოსმალო. დიდი ყოფილა ნადავლიც.

### წარმატება.

ქართული კორპუსის შტაბის უფროს პოდპოლკოვნიკ ზაქარიძეს ებოძა პოლკოვნიკის ჩინი.

## ახალი ამბავი.

### ქ უ თ ა ი ს ი.

✦ **კავკასიის ფრონტზე** ოფიციალური ცნობის მიხედვით სამხედრო მოქმედება შეჩერებულია.

✦ **ოზრუგეთის დაბრუნება.** ჩვენმა ჯარმა ოსმალები ქ. ოზრუგეთიდინ უკვე განდევნა. თათრებმა ექადის მთისკენ დაიხია.

✦ **ტრაპიზონიდან** გრიგოლ ვეშაპელი უკვე დაბრუნდა.

✦ **ლებედინსკი** კავკასიის მხედრობის მთავარსარდალი თანამდებობიდან გადადგა. გადადგა აგრეთვე შტაბის უფროსი ლევანდოვსკი.

**მასწავლებელთა შორის.** ქუთაისში მყოფ სახალხო სასწავლებლის მასწავლებლებმა შეადგინეს რაზმი, რომელიც მონაწილეობას ღებულობს ქალაქის დაცვის საქმეში.

✦ **ლტოლვილები.** ქუთაისში ლტოლვილების რიცხვის გადიდების გამო, მათ ბინებათ დაუთმეს პირველდაწყებითი სასწავლებლების შენობები.

✦ **ჯამაგირები მასწავლებლებს და სწავლის შეწყვეტა.** სახალხო მასწავლებლები პროვინციებში ჯამაგირებს კიდევ ვერ ღებულობენ. სწავლა უკვე შესწყდა.

✦ **მკვლელობა.** 11 აპრილს საფიჩხიაზე ყოფილი ჯარისკაცი მორჩაძე უგრეხელიძეს თავს კიდევ დაეცა და სროლა აუტეხა. მიეშველა მილიცია. ასტყდა სროლა. სროლის დროს უცაბედათ მოკლეს იქვე მცხოვრები გაბრიელ დემეტრაძე.

✦ **მფრინავი რაზმი.** მთავრობის განკარგულებით მილიცია უნდა გადაკეთდეს მფრინავ რაზმებათ.

✦ **ამიერ კავკასიის დეპეშათა სააგენტო.** დამტკიცებულ იქმნა კანონ პროექტი ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოსი.

✦ **მფრინავ რაზმების** საჭიროებისათვის გადაიდო 6754200 მანეთი.

✦ **ბოლშევიკები მოიწევენ.** ბოლშევიკები ბაქოდან განჯას უახლოვდებიან. ევლახი უკვე მათ ხელშია.

✦ **ახალი სტილი.** სეიმში ამ დღეებში გაირჩევა საკითხი ახალი სტილის შემოღების შესახებ. 18 აპრილიდან იანგარიშებენ 1 მაისს.

✦ **დაჭრილთათვის ფულის შეგროვება.** 11 აპრილს ქუთაისში დაჭრილთა სასარგებლოთ ყულაბებით ფული შეაგროვეს.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ბ. კვირკველია.

ეროვნული ბიბლიოთეკა